პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 243 (5273)

1974 წ. 8 დეკემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

თბილისის განთიადელები ი. ლეკვეიშვილი და გ. ნიკოლაიშვილი საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავეები არიან. პირველი ბრასის სტილით ცურავს, ხოლო მეორე — ბატერფლაით. ქუთაისში გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ი. ლეკვეიშვილი ორჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. გ. ნიკოლაიშვილმა კი ორჯერ მოიპოვა II საპრიზო ადგილი საქართველოს ჩემპიონატში.

ამ ორმა სპორტსმენმა ყველაზე დიდ წარმატებას კიევში მიაღწია, სადაც ჩატარდა მოზარდთა საერთაშორისო შეჯიბრება „დრუჟბა". გამარჯვებისთვის სსრ კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის მოცურავეები იბრძოდნენ. ლეკვეიშვილმა იქ II და III ადგილები დაიკავა, ხოლო ნიკოლაიშვილმა — III.

ახლა მათი მთავარი საზრუნავი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებაა. ქართველი სპორტსმენები ამ დიდი ფორუმისთვის მონდომებით ვარჯიშობენ.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ი. ლეკვეიშვილი; მარჯვნივ — გ. ნიკოლაიშვილი.

ა. გურასაშვილის ფოტოები.

### კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა

## პირველად გამარჯვებულის როლში

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, დამთავრდა კალათბურთელთა ტრადიციული ტურნირი, რომელიც კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა.

ქალთა ტურნირის ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს შეხვდნენ ძირითადი მეტოქეები ამ საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი.

ამ ორი კვირის წინათ სოხუმში ეს გუნდები ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შორის უძლიერესის სახელისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ უნივერსიტეტის კალათბურთელები დიდი ანგარიშით (56:78) დამარცხდნენ და, ბუნებრივია, ამჯერად რევანშის აღება სურდათ. უნივერსიტეტის გუნდმა, რომელსაც წამყვანი მოთამაშე კვინიკაძე აკლდა, მეტოქეს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა. გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა — 76:59 (36:30).

გამარჯვებულ გუნდში, ისევე როგორც სოხუმში, საუკეთესო სნაიპერი იყო დიასამიძე — 23 ქულა. უნდა აღვნიშნოთ მიმინოშვილის კარგი თამაშიც. მართალია, ქულების დიდი მარაგით იგი ჯერ ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ძალიან კარგად ხტება და დიდი სარგებლობაც მოაქვს გუნდისთვის ფარზე ასხლეტილი ბურთების დაუფლებაში. უნივერსიტეტელებიდან გამოირჩეოდა რეხვიაშვილი, რომელმაც თავის გუნდს 22 ქულა მოუტანა.

ვაჟთა შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები. ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოავლინეს წინადღით უნივერსიტეტელებთან შეხვედრაში (გაიმარჯვეს ანგარიშით 68:63), მაგრამ ამჯერად ვეღარ გამოიჩინეს თავი. მართალია, პირველ 5 წუთში წინ ისინი იყვნენ (12:4), მაგრამ შემდეგ გული დაიმშვიდეს და შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური თვალსაზრისით. გუნდმა ინიციატივა დათმო, განსაკუთრებით ბევრს სცოდავდა დაცვა. შედეგად პირველი ტაიმის შუა პერიოდში წინ უკვე პედინსტიტუტის წარმომადგენლები იყვნენ — 16:14. ამ მომენტიდან მათ უკვე აღარ დათმეს ინიციატივა, დამაჯერებლად თამაშობდნენ და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს — 80:71 (36:33). ამ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის გუნდის დირიჟორს ვ. მხეიძეს, რომელმაც 12 ქულა შესძინა თავის კოლექტივს და ამხანაგების მოქმედებასაც კარგად უხელმძღვანელა. ამ გუნდის წევრებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, გ. ნადარეიშვილი, რომელიც მოედანზე მახვილი აზროვნებითა და საუცხოო ორიენტირების უნარით გამოირჩევა. სწორედ ის იყო მატჩის საუკეთესო სნაიპერი — 27 ქულა. ნადარეიშვილს კარგად აუბეს მხარი ლხინაძემ (16 ქულა), შკურუპმა (15) და ვასილევმა (10).

პედინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი ო. ლებანიძე) პირველად მოიპოვა ესოდენ დიდი წარმატება.

ფ. ლეონიძე.

## კომბინატის ავტოდრომზე

დოსაფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა ენგურქაღალდკომბინატის ავტოდრომზე ჩაატარა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ავტოკროსში.

სატვირთო ავტომანქანებით შეჯიბრებაში 135 საჯარიმო ქულით გამარჯვება მოიპოვა გ. კიკალეიშვილმა (ენგურქაღალდკომბინატი). II ადგილზე გავიდა ქ. დარასელია — 176, მესამე იყო ვ. ქარდავა (ორივე — სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო) — 200.

მსუბუქი ავტომანქანებით ასპარეზობაში ყველას აჯობა ქ. დარასელიამ — 87 საჯარიმო ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ქ. როგავა (სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო) — 103, და გ. კიკალეიშვილი — 160.

ზ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## საქართველოს ჩემპიონები მაგიდის ჩოგბურთში



მ. პაპუკაშვილი



თ. რამაზაშვილი

გ. ახალაძის ფოტო.

## მწყობრი ნაბიჯით

ვადრაკი

ლენინგრადში, ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სასახლეში, გრძელდება 42-ე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი. VI ტურის შეხვედრებს ლიდერთა წყობაში ცვლილება არ შეუტანია. კვლავ წინ არიან დიდოსტატები რ. ვაგანიანი (ერევანი) — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ტალი (რიგა), ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ი. ბალაშოვი და ოსტატი მ. დვორეცკი (ორივე — მოსკოვი) — 3,5-3,5.

საანგარიშო ტურში ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: პოლუგაევსკი — ვაგანიანი, კუზმინი — ო. რომანიშინი (ლვოვი), დვორეცკი — ბალაშოვი, ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — ტალი და ვ. ციეშკოვსკი (ომსკი) — ვ. სავონი (ხარკოვი). რ. გრიგორიანმა (მოსკოვი) სძლია მ. ტაიმანოვს (ლენინგრადი).

დაუმთავრებელი დარჩა ლ. ალბურტ (ოდესა) — ვ. კუპრეიჩიკის (მინსკი) და ბ. გულკო (მოსკოვი) — ა. ბელიავსკის (ლვოვი) პარტიები.





## არავითარი კავშირი რასისტებთან!

ნიუ იორკი, 6 დეკემბერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ოგბუმ გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი სპორტული ორგანიზაცია არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას და ოლიმპიურ პრინციპებს, როცა კავშირს არ წყვეტს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან. მაგალითად, ოქტომბერსა და ნოემბერში, როგორც იგი აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნავს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეგბისტთა გუნდი „სპრინგბოკი" საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებში გამოვიდა, ახლა კი იტალიაშია, მიუხედავად ორივე ამ ქვეყნის საზოგადოებრიობის სამართლიანი აღშფოთებისა. სამხრეთაფრიკელი ბეისბოლისტები მონაწილეობდნენ ამ სახეობის წარმომადგენელთა მსოფლიო სამოყვარულო ჩემპიონატში, რომელიც ნოემბერში ჩატარდა ამერიკის ქალაქ ტამპაში (ფლორიდის შტატი).

ე. ოგბუმ ყველა სახელმწიფოს მთავრობებს მოუწოდა მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა გაწყვიტონ ყოველგვარი სპორტული კავშირი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, რომელიც აპარტეიდისა და რასობრივი სეგრეგაციის მავნე პოლიტიკას ატარებს. ეს კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა ე. ოგბუმ, ხელს უწყობს რასისტული რეჟიმის განმტკიცებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომელსაც იგი თავისი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიაჩნია.

სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე იწონებს ინდოეთის ჩოგბურთის ფედერაციის პოზიციას, რომელმაც უარი თქვა დევისის თასის გათამაშების ფინალში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან შეხვედრაზე.

— ოლიმპიური პრინციპებისადმი ერთგულებაც, — აღნიშნა შემდეგ ე. ოგბუმ, — გამოიჩინა ინგლისელმა მოკრივემ ჯ. კონტემაც, რომელმაც უარი თქვა სამხრეთ აფრიკაში გამოსვლაზე, თუნდაც ამის გამო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის შესაძლებლობა დაეკარგა.

საქინ-ფორმი

„შემოწმება და კონტროლი ქმედითი, ეფექტიანი, შედეგიანი უნდა იყოს. საკმარისი არ არის გამოვავლინოთ ნაკლოვანებები და დავსაჯოთ დამნაშავენი. მთავარი მიზანია გამოვასწოროთ მდგომარეობა, აღმოვფხვრათ შეცდომები და ნაკლოვანებები".

(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე).

„ლელოს" საგუშაგო

# უსულგულობის შედეგი
# რატომ მხოლოდ ზამთრის პირზე?
# როდემდე ივასპარეზონ პარტიზანულად?
# ოჰ, ეს ციხისჯვრის წყალი...

საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის სამზადისს ბაკურიანისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია — საქართველოს ამ „თეთრ მარგალიტში" რამდენიმე ახალი სპორტული ბაზის აგება დაიწყო და მხოლოდ იმ ეტაპს მიაღწია, რომ წლეულს მარტში სპარტაკიადის მასპინძლობა შეძლო.

შარშან საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო 90- და 70-მეტრიანი ტრამპლინების, მიტარბი — კოხტაგორის სწრაფდაშვების ტრასისა და საბაგირო გზის, საციგაო ტრასის, ციხისჯვარ — ბაკურიანის წყალსადენის, გეოლოგიური სამმართველოს პიონერთა ბანაკის, სასტუმროს ახალი კორპუსის, საავადმყოფოს და სხვა ობიექტების მშენებლობა. აქ ტრიალებდნენ რესპუბლიკის მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის, კავშირგაბმულობის სამინისტროების, „კავკასელექტროქსელმშენის", ამიერკავკასიის ტრანსმშენის, „საქკურორტრემმშენის", „სოიუზლიფტმონტაჟის", „იუგსტალკონსტრუქციის", საქსპორტკომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს და ბევრი სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებსაც სხვადასხვა ობიექტის მშენებლობა ჰქონდათ მინდობილი.

რესპუბლიკის მთავრობა მშენებლებს ზრუნვასა და დახმარებას არ აკლებდა, რათა სპორტული ბაზები საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა დიდ ფორუმს ყოველმხრივ მზად შეხვედროდა. ბაკურიანის ახალმშენებლობათა თემებზე რესპუბლიკურ და ცენტრალურ პრესაში საკმაოდ ბევრი დაიწერა, მას არც რადიოსა და ტელევიზიის ყურადღება აკლდა, მაგრამ...

დასამალი როდია, სპარტაკიადა ისე ჩატარდა, რომ არც ერთი ობიექტის მშენებლობა დამთავრებული არ იყო, არც ერთი პროექტი მთლიანად არ განხორციელებულა, მაგრამ მაშინ საქმე მოითხოვდა და, რათა რესპუბლიკა არ შერცხვენილიყო, ბაზები, გზები, ნაგებობები დროებით საექსპლოატაციოდ მიიღეს, ოღონდ იმ პირობით, რომ ზემოდასახელებული სამინისტროები, ტრესტები, სამმართველოები სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ მუშაობას ისევ განაგრძობდნენ და საქმეს დაამთავრებდნენ.

გასაკეთებელი კი ძალიან ბევრი იყო — საციგაო ტრასის თითქმის მესამედი, ტრამპლინების, სწრაფდაშვების ტრასისა და საბაგირო გზის კეთილმოწყობის სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ერთი სიტყვით, როგორც სპეციალისტები ამბობენ ხოლმე, ყველა ნაგებობა საპროექტო წერტილამდე იყო დასაყვანი.

გაზაფხული და ზაფხული ისე მიილია, ბაკურიანის ზემოაღნიშნული ობიექტები აღარც სამინისტროებს მოჰგონებიათ, აღარც ტრესტებსა და სამმართველოებს. ყოველ შემთხვევაში, ბაკურიანისთვის აღარავის მიუკითხავს, მშენებლებს კი თითი თითზე აღარ დაუკარებიათ.

მცირე სამუშაოებს მხოლოდ წლეულს შექმნილი საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბაკურიანის სპორტნაგებობათა კომბინატი თუ ასრულებდა, რომელსაც ჯერ საკმარისი რაოდენობით არც ინვენტარი გააჩნია, არც მექანიზმები და ტრანსპორტი.

ცოდვა გამხელილი ჯობია. მშენებლებმა შარშან ფაციფუცში ბევრ ობიექტზე საქმე ისე ვერ გააკეთეს, როგორც საჭირო იყო. მაშინდელი ხარვეზები ყინვამ და თოვლმა დაფარა, მაგრამ, როგორც კი დათბა, უსულგულობის შედეგიც გამოჩნდა. მაგალითი? — მეწყერი 70-მეტრიან ტრამპლინზე, რამაც კინაღამ მსაჯთა კოშკურაც იმსხვერპლა. იმის გამო, რომ სამუშაოები დამთავრებული არ იყო, აქ 4000 კუბამეტრი მიწა ჩამოწვა. მართალია, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის (მმართველი კ. სოზიაშვილი) მე-2 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ვ. რევაზიშვილი) მომხდარი ამბავი დროულად შეიტყო, მაგრამ საქმეს ხელი ოქტომბრის დამლევამდე ვერ მოჰკიდა, ვინაიდან, როგორც სამუშაოთა მწარმოებელმა უ. ბელაშვილმა გვითხრა, „საქქალაქმშენსახპროექტმა" სამუშაოთა გაგრძელებისთვის საჭირო პროექტი დროულად ვერ დაამუშავა (მე-2 სამშენებლო სამმართველომ საჭირო დოკუმენტაცია მხოლოდ 23 ოქტომბერს მიიღო).

მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის მე-2 სამშენებლო სამმართველოს ჩამოწოლილი მიწის გატანისა და გასამაგრებელი სამუშაოების პროექტის დაგვიანებით მიღებამ იქნებ მართლაც შეუშალა ხელი, მაგრამ იმაზე რაღას იტყვიან, 90-მეტრიანი ტრამპლინის ტანისა და ფერდობების მობელტვა რომ არ დაუმთავრებიათ?

მართალია, ამ ტრამპლინის მოწყობაც დასამთავრებელია, მაგრამ იგი ხელს მაინც ვერ შეუშლის წლევანდელი ზამთრის სეზონში აქ დაგეგმილი შეჯიბრებების ჩატარებას, რომელთაგან მთავარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე მორიგი საერთაშორისო ტურნირი იქნება. 9-12 იანვარს ბაკურიანში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საუკეთესო „მფრინავი მოთხილამურეები" მოიყრიან თავს, ამ ასპარეზობისთვის კი 70-მეტრიან ტრამპლინზე ყველა სამუშაოს დამთავრება საჭიროა.

70-მეტრიან ტრამპლინზე მეწყრის მიერ ჩამოტანილი მიწის გამოზიდვა უკვე დამთავრდა. საყრდენი კედლის ხიმინჯებისთვის 11 ორმოც ამოუღიათ, რომელთა გამოყენებითაც თითქმის სამმეტრიანი კედელი აიგება და ღორღით აივსება. დამუხრუჭების ბაქანზე საწრეტები მოსაწყობია, ხოლო ტრამპლინის მნიშვნელოვანი ნაწილი — მოსაბელტი.

ამ ტრამპლინზე არც მსაჯთა კოშკურის მოწყობაა მთლიანად დამთავრებული. ეს სამუშაო შეგნებულად შეაჩერეს — ზედმეტი სიმძიმით გადატვირთვა კოშკურის ჩამოქცევას გამოიწვევდაო. დაშვების ბაქანზე, მეწყრის თავიდან აცილების მიზნით ორი საკმაოდ დიდი ხიმინჯია მოსაწყობი — შემოსაზიდია 4900 კუბმეტრი ღორღი.

ღორღი აგარიდან შემოაქვთ. მთლიანი მარაგის შემოსატანად 1000 დიდი მანქანაა საჭირო, მაგრამ ამისთვის სათანადოდ ვერ ზრუნავენ. არც მუშახელი ჰყოფნით. მართალია, მწვრთნელთა სკოლიდან აქ სამუშაოდ ჩამოვიდა 32 კაცი, რომელთა შორის მოჭიდავეები, მოცურავეები, მოკრივეები და ძალოსნები არიან, გულმოდგინედაც მუშაობენ, მაგრამ, როგორც მათმა ხელმძღვანელმა ა. ტყემალაძემ გვითხრა, სათანადო ხელშეწყობა არა აქვთ, განსაკუთრებით ნიჩბების უკმარობას უჩივიან.

და მაინც, ტრამპლინის კეთილმოწყობა რომ დაჩქარდეს, კიდევ, სულ ცოტა, 30 სათანადოდ აღჭურვილი მუშაა საჭირო. ეს სამუშაოთა მწარმოებლის უპირველესი თხოვნაა. მართალია, საქართველოს ნიჩბოსანთა ნაკრები, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის აქ ემზადება, სამშენებლო სამმართველოს დახმარებას დაჰპირდა, მაგრამ სამშენებლო სამმართველომ ყველა ნიჩბოსანი სპეციალური სამუშაო ტანსაცმლით ვერ უზრუნველყო და განზრახვა ჯერჯერობით ვერ შესრულდა (როგორც ნაკრების ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ტრამპლინზე შრომა საერთო ფიზმომზადების ციკლში შევიდოდა).

ვფიქრობთ, თუ 70-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობის ტემპი არ დაჩქარდა, დიდი სტარტისთვის მისი ძირითადი სამუშაოების დამთავრებაც კი სათუო იქნება.

მაგრამ წლევანდელი ზამთრის სეზონისთვის კეთილმოწყობას მხოლოდ ტრამპლინები როდი საჭიროებენ. სეზონი კი ბაკურიანში მეტად მდიდარი იქნება. „მფრინავ მოთხილამურეთა" საერთაშორისო შეჯიბრების გარდა, აქ გაიმართება საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადა, რესპუბლიკური ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასების გათამაშება რბოლებში, სამთო-სათხილამურო სპორტში, მოციგავეთა საკავშირო ტურნირი, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობები...

საციგაო ტრასაზე შარშან დარჩენილი სამი ვირაჟის მშენებლობა ახლა დაიწყეს. ჩვენს იქ ყოფნაში ხის მასალა შემოჰქონდათ. ტრასა სრულყოფილი მხოლოდ ამ სამი ვირაჟის აგების მერე იქნება. საკითხავია, სად იყო აქამდე საქართველოს სპორტკომიტეტის სამშენებლო სამმართველო?

შარშან უხარისხოდ, ნაჩქარევად შესრულებული ელექტრო- და სხვა სამუშაოთა ნაწილი წლეულს დაამთავრეს.

მიტარბი — კოხტაგორა მეორის საბაგირო გზაზე სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის დროს სიგნალიზაცია ფაციფუცით მოაწყვეს, ისე, რომ მათი სანგრებში ჩაწყობა არ მოხერხდა (დიდი თოვლის გამო). ელექტროენერგია ავტომატური გამომრთველებისთვის საყრდენებთან კიდევ არ არის მიყვანილი. საყრდენებზე დასაყენებელია მაბლოკირებელი მოწყობილობანი, ყველა საბაგირო გზის ყველა სადგურში დასაჯდომი მოედნები უპროექტებოდაა მოწყობილი, რაც ბევრ უხერხულობას ქმნის.

კოხტაგორაზე ასასვლელ ძველ საბაგირო გზაზეც ასევე ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. მართალია, სპორტნაგებობათა კომბინატმა გზას სიგნალიზაცია დაუმატა, გაყვანილია სტაციონალური სატელეფონო ხაზები, მაგრამ აქაც ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რასაც აუცილებლად „სოიუზლიფტმონტაჟის" სპეციალისტთა ხელი სჭირდება.

გასულ სეზონში ჩატარებულმა სტარტებმა მიტარბი — კოხტაგორა მეორის სწრაფდაშვების ტრასის პროფილის ზოგიერთი უარყოფითი მხარე გამოავლინა. ცხადია, სწრაფდაშვებაში მოასპარეზეთა უსაფრთხოების მიზნით ტრასის ხარვეზების გამოსწორება აუცილებელი იყო. როგორც სპორტკომბინატის დირექტორმა ი. ოგანეზოვმა გვითხრა, განსაკუთრებით რთული მოსახვევების შედარებით გამარტივების სამუშაოები ძირითადად უკვე დაამთავრეს, ზოგან ასეთი სახიფათო ადგილები 3-4 მეტრით გაფართოვდა. საფუძვლიანად გადაკეთდა „მილში" შესასვლელები, „მილის" კედლები შეძლებისდაგვარად გააგანიერეს. ორ ადგილზე კონტრფერდობები მოეწყო.

— ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ბაკურიანის საბაგირო გზები საფუძვლიანად მოეწყოს და საექსპლოატაციოდ ყველა წესის დაცვით გადაეცეს, თორემ შეჯიბრებები ასე პარტიზანულად როდემდე უნდა ტარდებოდეს? — გულისტკივილით გვითხრა ოგანეზოვმა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ბაკურიანის სასმელი წყლით მომარაგებაა. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის ციხისჯვარ — ბაკურიანის წყალსადენის მშენებლობაც უნდა დამთავრებულიყო და სპარტაკიადის მონაწილეებს, სტუმრებს ციხისჯვრის წყალი მიეღოთ. მაგრამ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 21 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ შარშან ზაფხულში იმდენი იზოზინა, რომ დაკისრებული ამოცანა ვერ გადაჭრა და სპარტაკიადა ძველი წყალსადენის იმედით დატოვა.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის შემდეგ 10 თვე გავიდა, ბაკურიანში კი ციხისჯვრის წყალი მაინც არ ჩანს. ჩვენი იქ ყოფნის დღეებში ბაკურიანის კომუნალური განყოფილება რამდენიმე მუშით № 21 მოძრავი მექანიზებული კოლონის მიერ მიტოვებული საქმის დასამთავრებლად მუშაობდა, მაგრამ ძნელია ამ განყოფილებამ დროულად გააკეთოს ის, რაც კოლონამ მთელი წლის მანძილზე ვერ მოახერხა.

უწყლობა ყველას აწუხებს, მაგრამ განსაკუთრებით „დინამოს" და ტურისტთა ბაზებს, სასტუმროს, დაბის დაწესებულებებსა და მოსახლეობას უჭირთ.

როცა „დინამოს" ბაზის დირექტორს შ. ჯეირანაშვილს ვკითხეთ, საციგურაო სეზონს როგორ ხვდებით-მეთქი, მან მომიგო: თუ წყალი რეგულარულად გვექნება, საციგურაოსაც დროულად გავყინავთ და ბაზაში სამხაპეც იმუშავებს, სხვა მხრივ კი სტუმრებს მზად შევხვდებითო.

რაკი სიტყვა „დინამოს" ბაზაზე ჩამოვარდა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ სპორტსაზოგადოების ბავშვთა სპორტული სკოლის დირექციის (დირექტორი ნ. მიქაბერიძე) ინიციატივა: სკოლის პედაგოგთა თაოსნობით მომავალი „მფრინავი მოთხილამურეებისთვის" კარგი ტრამპლინი და საბაგირო გზა ააგეს. ტრამპლინიდან 25-30 მეტრზე შეიძლება ხტომა, ეს კი მოზარდებისთვის 70-მეტრიან ტრამპლინზე გადასასვლელად საუკეთესო საფეხურია.

ზამთრის სპორტულ სეზონს მზად ხვდებიან საქართველოს სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატი და „ბურევესტნიკის" სამთო-სათხილამურო ბაზა — ძირითადი კერები, სადაც წლევანდელ ასპარეზობათა მონაწილენი იცხოვრებენ. მაგრამ მთავარი მაინც სარბიელებია და მათს კეთილმოწყობაში გულგრილობა არავის ეპატიება.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი — თბილისი.

**რედაქციისგან:** ამ წერილის მიზანი ის როდია, რომ გაზეთმა მკითხველების წინაშე ვალი მოიხადოს. ჩვენ გვსურდა შეძლებისდაგვარად აღგვენიშნა ის შეცდომები და ხარვეზები, რაც შარშან მშენებლებმა დაუშვეს, ვინაიდან ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ჩამორჩენილ ორგანიზაციებში ნაკლოვანებები კონტროლისა და შემოწმების გზით უნდა აღმოვფხვრათ. მათ, ვისაც ეს ეხება, დროულად უნდა იზრუნონ ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის.



რამდენიმე დღეც და უკრაინის ქალაქი ზაპოროჟიე კარს გაუღებს სსრ კავშირის უძლიერეს ძალოსნებს, რომლებიც აქ ჩამოვლენ, რათა გაითამაშონ საკავშირო თასი და ჩემპიონის მცირე მედლები ძალოსნური ორჭიდის ცალკეულ სახეობებში. ამ შეჯიბრებისთვის გაცხოველებით ემზადებიან ქართველი სპორტსმენებიც.

სურათზე: საქართველოს ძალოსანთა ნაკრების გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზ. წერეთელი (მარჯვნიდან პირველი) და მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ქ. ეზრალიძე (მარჯვნიდან მესამე) მეცადინეობის დაწყებამდე ესაუბრებიან ნაკრების წევრებს.

შ. ზარგარიანის ფოტო.



## [ქუ]ტაისის „[მ]ეტალურგი" — [ჩე]მპიონი

[ქუ]ტაისში შედგა რესპუბლიკის [ფე]ხბურთო ჩემპიონატის მატჩი [კ]ოლხრიონი და ზესტაფონის „[მე]ტალურგის" თანაკლუბელთა შო-[რის].

[ქუ]ტაისელმა ფეხბურთელებმა [მატჩ]ში მოიგეს ანგარიშით 3:1 და [მოი]პოვეს საქართველოს 1974 [წლის] ჩემპიონის წოდება.

## გათამაშების ფინიში

ჭიათურის საფეხბურთო მინდორებზე ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა მოსწავლეთა რესპუბლიკური გათამაშება ფეხბურთში აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ტყიბულისა და ჭიათურის გუნდების მონაწილეობით.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ წარმატება წილად ხვდათ თბილისელ ფეხბურთელებს, რომლებმაც შეძლეს პირველი ადგილის დაკავება. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისისა და აჭარის გუნდები.

ცალკეული ფეხბურთელები და კოლექტივები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შეჯიბრებაში, დაჯილდოებულ იქნენ ჭიათურის სხვადასხვა წარმოებადაწესებულების პრიზებით.

ზ. ტატიშვილი.

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

[ჯ]აკარტა. სსრ კავშირის ახალ[გაზ]რდულმა ნაკრებმა ანგარიშით [2:1] დაამარცხა ქ. უჯუნგ-პანდანგის [გუნ]დი, რომელმაც აქ ამას წინათ [მოი]გო ინდონეზიის საუკეთესო გუ[ნდ]ების ტურნირი. ბურთები გაიტანეს შლაპაკმა და სლობოდიანმა.

ლუსაკა. ზამბიაში სტუმრად მყოფმა მინსკის „დინამოს" ფეხბურთელებმა მარცხი განიცადეს ამ ქვეყნის ნაკრებთან შეხვედრაში — 0:2.

## ფეხბურთი ოლიმპიური ემბლემით

ოლიმპიური ტურნირი ფეხბურთში ჩატარდება 1976 წლის 18-27 ივლისს მონრეალსა და კანადის რამდენიმე სხვა ქალაქში. მასში მონაწილეობას მიიღებს 16 ნაკრები, აქედან 2 პერსონალურადაა მიწვეული: პოლონეთი (ოლიმპიური ჩემპიონი) და კანადა (მასპინძელი). დანარჩენი 14 ფინალისტი შესარჩევ ჯგუფებში უნდა გამოვლინდეს.

პოლონეთის ნაკრების გარდა ფინალში ითამაშებს ევროპის 4 გუნდი, აფრიკასა და აზიას ფინალში დაეთმოთ 3-3 ადგილი, 2-2 — სამხრეთ ამერიკასა და შუა და ჩრდ. ამერიკას.

ევროპის I ჯგუფი. ფინეთი — ნორვეგია, იუგოსლავია — სსრ კავშირი. პირველ ტურში თავისუფალია ისლანდიის გუნდი.

ევროპის II ჯგუფი. გდრ — საბერძნეთი, ირლანდია — ჩეხოსლოვაკია. თავისუფალია ავსტრიის გუნდი.

ევროპის III ჯგუფი. გფრ — ესპანეთი, ბულგარეთი — უნგრეთი. თავისუფალია თურქეთის გუნდი.

ევროპის IV ჯგუფი. რუმინეთი — დანია, ჰოლანდია — ლუქსემბურგი. თავისუფალია საფრანგეთის გუნდი.

ევროპის ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები პირდაპირ გადიან ფინალში. გაცილებით უფრო რთული სისტემაა აფრიკაში, სადაც სამსაფეხურიანი შესარჩევი ტურნირი ტარდება. I წრის თამაშები 1975 წლის 31 მაისამდე უნდა დამთავრდეს, II წრე — 1975 წლის 31 დეკემბრამდე, III წრე — 1976 წლის 15 აპრილამდე.

ჯგუფები აფრიკაში ჯერჯერობით ასე განაწილდა:

I. ალჟირი — ტუნისი, მაროკო — ლიბია; II. მალი — მავრიტანია, კამერუნი — ნიგერია; III. ეგვიპტე — სუდანი, ეთიოპია — ტანზანია; IV. მადაგასკარი — მალავი, ზამბია — მავრიკია; V. ზაირი — ზემო ვოლტა, სენეგალი — ტოგო; VI. გამბია — გვინეა, განა — ლიბერია.

აზია და ოკეანია. I. ბაჰრეინი, ირანი, ერაყი, კუვეიტი, ლიბანი, საუდის არაბეთი.

ავსტრალიის, პაპუასა და ახალი გვინეის გუნდებს შორის წინასწარ წრეში გამარჯვებული უფლებას მიიღებს ითამაშოს II ჯგუფში, სადაც მის გარდა იქნებიან: ბანგლადეში, ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ინდოეთი.

III. ტაივანი, სამხრეთ კორეა, იაპონია, ფილიპინები, სამხრეთ ვიეტნამი, ისრაელი.

ჩრდ. და შუა ამერიკა. I. ბერმუდის კუნძულები — აშშ. პირველ წრეში თავისუფალია მექსიკა; II. გვატემალა — ჰონდურასი, სალვადორი — ნიკარაგუა. თავისუფალია კოსტა-რიკა; III. იამაიკა — დომინიკის რესპუბლიკა, ბარბადოსი — ტრინიდადი. თავისუფალი არიან კუბა და სურინამი.

ჩრდ. და შუა ამერიკის ჯგუფებში გამარჯვებულები პირდაპირ არ გადიან ფინალში. ისინი 2-წრიან დამატებით შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას (1976 წლის 15 აპრილამდე) და 2 ფინალისტს გამოავლენენ.

სამხრეთ ამერიკიდან შეირჩევა 2 ფინალისტი.

## საუკეთესოებს — სპეციალური პრიზები

საინტერესოდ ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. წარმატებას მიაღწიეს ბაშის ექსპერიმენტული მეთესლეობის მეურნეობის ფეხბურთელებმა, რომლებმაც I ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე არიან იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობისა და გომის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები. გათამაშება ორგანიზებულად ჩატარდა. მთავარი პრიზების გარდა დაწესებული იყო სპეციალური ჯილდოებიც. გომელ ფეხბურთელს გ. ჩაჩუას გადაეცა გაერთიანება „საქჩაის" სამტრედიის მექანიკური ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის პრიზი, როგორც საუკეთესო ბომბარდირს. ქალაქის მუშაახალგაზრდობის საშუალო სკოლის თასი გამარჯვებისათვის სწრაფვისთვის მიიღო ლანირის ფეხბურთელთა კოლექტივმა, ხოლო გაზეთ „წინსვლის" რედაქციის თასი ყველაზე დისციპლინირებული გუნდისთვის გადაეცა „საქსოფლტექნიკის" სამტრედიის განყოფილების გუნდს.

ჯ. ჟაჟაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „კრუიფზე ნაკლები არ იქნება"

„ვენფიკას" მწვრთნელი, ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი მ. პავიჩი დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა ზანგ თავდამსხმელ ჟორდაოზე.

„ცოტა ხანში იგი კრუიფზე ნაკლებად არ ითამაშებს", — განაცხადა პავიჩმა.

### მწუხარებით იგონებენ

არგენტინელმა მიმომხილველებმა ვრცელი ნეკროლოგები მიუძღვნეს ამ ქვეყნის საფეხბურთო ისტორიაში ერთ-ერთ უძლიერეს მეკარე ბელოს, რომელიც გარდაიცვალა 63 წლის ასაკში. ბელო ისეთი მოქნილი მეკარე იყო, ისეთი ნახტომებით იჭერდა ბურთებს, რომ „ტარზანის" სახელი დაიმსახურა. იგი დიდი წარმატებით თამაშობდა 1933-1944 წლებში და „ინდეპენდიენტესთან" ერთად ეროვნული ნაკრების ღირსებასაც იცავდა.

### რას ო'ფარელი ხელმძღვანელობს

ნახევარ წელზე მეტია, რაც ირანის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი ფრენკ ო'ფარელი (ყოფილი „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი). ამ ხნის განმავლობაში ირანელებმა მკვეთრად გააუმჯობესეს თამაში და არც ერთი დამარცხება არ განუცდიათ.

ო'ფარელის განცხადებით, ირანელებს 1978 წლისთვის რეალური პრეტენზია ექნებათ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურზე.

### იუგოსლავიის თასი — „ჰაიდუკს"

იუგოსლავიის საფეხბურთო თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპლიტის „ჰაიდუკი" და ბანია ლუკას „ბორაცი". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ჰაიდუკმა" და დაეუფლა იუგოსლავიის თასს.



# სანაქებონი

აქ მუდამ იდეალური სიწყნარეა. მართალია, დროდადრო ამ მყუდროებას ზარის ხმა და ბავშვების ჟრიამული არღვევს. საუბარია მახარაძის რგანლიან სკოლა-ინტერნატზე, რომელიც სანატორიუმისთვის შესაფერ ადგილზეა გაშენებული. ჩვენ ამ სკოლაში კარგა ხანს დავრჩით და დღეს გვინდა ამ სტუმრობის დროს მიღებული ზოგიერთი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ. ეს შთაბეჭდილებები მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას ეხება.

... ზარი დარეკა, ბავშვები სწრაფად ტოვებენ ინტერნატის ეზოს და საკლასო ოთახებისკენ მიიჩქარიან. ყველაზე ნორჩები — II კლასის მოსწავლეები ადგილზე რჩებიან. განკარგულებაზე: „სწორდით!" ყველა უმალ მწკრივში ეწყობა სიმაღლის მიხედვით. ერთ-ერთი მოსწავლე მასწავლებელ ნონოზა ლომაძეს ჯგუფის მზადყოფნის შესახებ პატაკს აბარებს და იწყება ფიზაღზრდის გაკვეთილი.

თვალს სიამოვნებდა ნორჩების ვარჯიშის ყურება. ბავშვები კი ზუსტად, ლამაზად ასრულებდნენ განკარგულებებს. შესანიშნავი იყო მათი სამწყობრო სიარული. კარგად იყო ორგანიზებული სპორტული თამაშობანი. შევახსენებთ, რომ ლაპარაკია დაწყებითს კლასზე, სადაც, როგორც წესი, ფიზაღზრდის გაკვეთილებს არასპეციალისტი ატარებს. არც ლომაძე გახლდათ გამონაკლისი. ჩვენ მახარაძის რაიონის ბევრ სკოლაში ვიყავით და დავრწმუნდით, რომ ლომაძის ფიზაღზრდის გაკვეთილების დონე ზოგიერთ სპეციალისტსაც შეშურდებოდა.

— მართალია, სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ასეთ ქებას მაინც არ ვიმსახურებ. ნორჩების ფიზიკური აღზრდა ხომ ყველა ჩვენგანის ვალია და მეც ამას ვცდილობ. ამ საქმეში ჩვენი ფიზაღზრდის მასწავლებელი ომარ სიხარულიძე მეხმარება. სპეციალურ ლიტერატურას მაწვდის, კონსულტაციას მიწევს... — გვითხრა ნონოზამ, როდესაც ჩვენი აზრი ვუთხარით მისი ფიზაღზრდის გაკვეთილების შესახებ.

სიხარულიძის გაკვეთილებსაც დავესწარით. იგი IV კლასის მოსწავლეებს ამეცადინებდა. მასწავლებელს მუშაობაში ეხმარებოდა თანაშემწე — ამავე კლასის მოსწავლე (ასეთი ფაქტიც იშვიათია მახარაძის რაიონში). გაკვეთილმა ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

საერთოდ, იგრძნობა, რომ აქ ფიზკულტურასა და სპორტს სათანადო ყურადღება ექცევა. აქვთ ფოტოსტენდები, ფიზკულტურელთა კედლის გაზეთი. კარგად გაუფორმებიათ მშდ კომპლექსის მასალები. ერთ-ერთ დაფაზე გამოფენილია სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა მიერ სპორტულ სარბიელზე მოპოვებული დიპლომები. წლეულს ინტერნატელები რაიონული სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ 8-წლიანი სკოლების მოსწავლეთა შორის — ყველას აჯობეს კალათბურთელი და ფრენბურთელი ბიჭების შეჯიბრებებში და არც საერთო კომპლექსურ პირველობაში დათმეს გამარჯვება. ამ სკოლის მოსწავლეებმა რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების წარმომადგენელთა შორის II ადგილი დაიკავეს ტანვარჯიშულ მრავალჭიდში.

— კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მოვიპოვებდით, ცოტა დიდი სპორტდარბაზი რომ გვქონდეს, — გვითხრა სკოლის დირექტორმა ლილი პატარავამ.

მართლაც, ინტერნატის სპორტდარბაზი პატარაა. კარგ ამინდში ბავშვები ღია ცის ქვეშ ვარჯიშს ამჯობინებენ, ცუდ ამინდში კი ზოგჯერ დარბაზში ორი ჯგუფი ერთად იყრის თავს.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.)

მახარაძე.

* * *

სურათებზე: ნ. ლომაძე II კლასის მოსწავლეებს ამეცადინებს; ო. სიხარულიძე V კლასის მოსწავლე ქ. ყარეგიშვილს ტანვარჯიშში ავარჯიშებს; მოჭადრაკეთა სექციის წევრები მორიგ მეცადინეობაზე.

ავტორის ფოტოები.








## თბილისი — 74

VIII ტური. ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) — ნ. გაფრინდაშვილი 0,5:0,5, თ. გიორგაძე — ე. უბილავა (სამივე — თბილისი) 0,5:0,5, გ. სიგურიონსონი (ისლანდია) — ა. შნაპიკი (პოლონეთი) 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ვ. შმიდტი (პოლონეთი) 0,5:0,5, რ. კინი (ინგლისი) — ე. გუფელდი (თბილისი) 0,5:0,5, რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — გ. ლებრედო (კუბა) 0,5:0,5, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ბ. გურგენიძე (თბილისი) 0,5:0,5, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — ხ. ბოხოსიანი (ბულგარეთი) 0:1.

# თუმცა დასკვნები ნაადრევია...

8 ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სიგურიონსონი — 5,5 ქულა, გიორგაძე — 5, გაფრინდაშვილი, გუფელდი, კინი, ტუზოვსკი — 4,5-4,5, ბაგიროვი, გურგენიძე, ხოლმოვი, შმიდტი, უბილავა, ჩოკილტია — 4-4, ნიჩევსკი — 3,5, ლებრედო, ბოხოსიანი — 3-3, შნაპიკი — 2.

განვლილია მემორიალის პირველი ნახევარი. დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია, მაგრამ მონაწილეთა თითქმის ნახევარი ლიდერთა ჯგუფშია. შეხვედრების უმრავლესობა ზავით დამთავრდა. სამწუხაროდ, მათ შორის არც ისე ცოტაა უფერული ყაიმი.

ავიღოთ თუნდაც საანგარიშო VIII ტური. კინი და გუფელდი მე-12 სვლაზე დაზავდნენ, მაშინ, როცა ნამდვილი თამაში უნდა დაწყებულიყო. მათ ფიგურები განავითარეს, შეიმუშავეს ბრძოლის გეგმა და... ბრძოლაზე ხელი აიღეს. ტუზოვსკი — შმიდტის შეხვედრაშიც 12 სვლა გაკეთდა. გრიუნფელდის დაცვა, რომელიც მათ აირჩიეს, მძაფრი ბრძოლის მომასწავებელი იყო, მაგრამ მე-8 სვლაზე სოხუმელმა ლაზიერები გაცვალა და საზავო მოლაპარაკება გააბა.

ალბათ დაინტერესდებით, რით არის გამოწვეული ეს მოკლემეტრაჟიანი ყაიმები. ზოგს მემორიალში დაწესებული პრიზი აინტერესებს, ზოგს, როგორც მაგალითად ტუზოვსკის, საერთაშორისო ოსტატის ბალის მიღება. ვერ უსაყვედურებ მათ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ საჭადრაკო შემოქმედება ქულებს ეწირება.

სხვა საქმეა, როცა ყაიმი უშელავათო ბრძოლაში გამოიჭედება. გურგენიძემ და ბაგიროვმა ისეთი ბრძოლა გააჩაღეს, რომ სულგანაბული დარბაზი თვალს ვერ აცილებდა მათს პარტიას. ბრძოლის ფინალური მონაკვეთი მძაფრ ცაიტნოტში მიმდინარეობდა. ამ გაჭირვების ჟამს მეტოქენი კიდევ გამარჯვებაზე ფიქრობდნენ. ბოლოს, როცა ძალები დაიცხრილა და მოგების შანსის მიღება შეუძლებელი იყო, მეტოქენი დაზავდნენ.

— აი, ეს იყო ბრძოლა, — შენიშნა ნანახით და განცდილით კმაყოფილმა ვ. გოგლიძის ვაჟმა ვლადიმერმა, რომელიც ამ დღეს მემორიალს თავის შვილთან, პატარა ვიქტორ გოგლიძესთან ერთად ესწრებოდა. ვლადიმერი თავად სპორტსმენია (ჩოგბურთში სპორტის ოსტატი) და იცის ჭეშმარიტი, უშელავათო ბრძოლის ფასი.

მაყურებელი არც ხოლმოვ — ლებრედოს შეხვედრამ დატოვა გულგრილი. აქაც იერიში და დაცვა დაუპირისპირდა ერთმანეთს. ხოლმოვმა მსხვერპლიც გაიღო, მაგრამ ახალგაზრდა კუბელმა ოსტატმა შეინარჩუნა მტკიცე პოზიცია.



კვლავ ენერგიულად უტევდა სიგურიონსონი. შნაპიკმა ვერ ააწყო დაცვა. მისი გვირგვინოსანი შეტევის სამიზნე შეიქნა. ისლანდიელმა ოსტატმა მახვილი ტაქტიკური სვლებით უკვე 22-ე სვლაზე გაიმარჯვა.

— მე ვიცნობ კოტე კაიშაურს, — გვითხრა შნაპიკმა, როცა გამოვესაუბრეთ, — ჩვენ ერთად ვთამაშობდით ვარშავის მოსწავლეთა ტურნირებში, ვმეგობრობდით კიდეც. ახლა ის შვეციაში ცხოვრობს. ამ ბოლო დროს შესამჩნევად დაოსტატდა, რასაც მისი პარტიების მიხედვით ვხვდები.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ჩოკილტია — ბოხოსიანის შეხვედრა. რუმინელი მოჭადრაკე, რომელსაც დიდოსტატის ბალი სჭირდება, მეთოდურად უტევდა ბოხოსიანის პოზიციას. პარტია მან კარგი პერსპექტივებით გადადო. გუშინ დილით უხეშად შეცდა და... ყაიმიც გამორჩა.

— არა, ყაიმი არ გამომრჩენია. ვიცოდი, რა გზით მივაღწევდი მას, მაგრამ მოგება მინდოდა, და მეორედ შევცდი — გვითხრა ჩოკილტიამ პარტიის დამთავრებისთანავე.

**თ. გიორგაძე,**
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

• • •

სურათზე: მაყურებელი პარტიებს თვალს სადემონსტრაციო დაფების მიხედვით ადევნებს. დემონსტრატორები (მარცხნიდან) ს. კრემლიოვი, რ. ფოლადიშვილი და ბ. ბეცეცაშვილი მაგნიტისთავიანი ჯოხებით მზად არიან მეტოქეთა სვლების გასამეორებლად.

ვ. ზარგარიანის ფოტოები.



# „ნუველ დე მოსკუს“ პრიზზე

ჩვეულებრივი დიდი სპორტული სეზონი ფიგურულ ციგურაობაში დეკემბერში იწყება. იწყება იგი „მოსკოვური ციგურების“ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრებით, რომელიც წლეულს მეცხრედ ტარდება და ამიერიდან ერქმევა მოსკოვში ფრანგულ ენაზე გამომავალი ყოველკვირეული გაზეთის „ნუველ დე მოსკუს“ პრიზი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში საასპარეზოდ გამოვლენ 14 ქვეყნის — ავსტრიის, აშშ-ს, გდრ-ის, გფრ-ის, იაპონიის, ინგლისის, კანადის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, ფინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ფიგურისტები.

საბჭოთა ფიგურისტებმა ამ შეჯიბრებამდე მოასწრეს გამოსულიყვნენ ავსტრიის, ინგლისის, კანადისა და ჩეხოსლოვაკიის ყინულის სარბიელზე და საკმაო წარმატებითაც, მაგრამ მაინც ამ პრიზის გათამაშება გენერალური რეპეტიცია იქნება სეზონის მთავარი სტარტების წინ. ჩვენ ვგულისხმობთ ერთი თვის შემდეგ კიევში დაგეგმილ სსრ კავშირის პირველობას, იანვრის ბოლოს და თებერვლის პირველ რიცხვებში — კოპენჰაგენში ევროპის პირველობას და მარტის დასაწყისში — აშშ-ს ქალაქ კოლორადო-სპრინგსში მსოფლიო ჩემპიონატს.

ლუჟნიკის სპორტის სასახლეში წყვილთა ციგურაობის ცნობილ ოსტატებთან, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მრავალგზის გამარჯვებულებთან ი. როდნინასთან და ა. ზაიცევთან ერთად სპორტის მოყვარულები იხილავენ იმედის მომცემ ახალგაზრდა წყვილებს ი. ვორობიოვასა და ა. ვლასოვს, მ. ლეონიდოვასა და ვ. ბოგოლიუბოვს.

სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც იწვევს მოცეკვავეთა დუეტების შეჯიბრება. ფიგურული ციგურაობის ეს სახეობა პირველადაა შეტანილი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში და პირველი ჩემპიონებიც 1976 წელს გამოვლინდებიან. ამიტომ უკვე მოსკოვის ყინულზე გამოიკვეთებიან ის წყვილები, რომლებიც შემდეგ დავას განაგრძობენ უმაღლეს დონეზე. ფავორიტებს შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი. მათს გარდა უმაღლეს ჯილდოზე პრეტენზიას აცხადებენ ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი, აგრეთვე, კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდები ი. მოისეევა და ა. მინენკოვი.

ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორ ს. ვოლკოვსა და მის გამოცდილ კოლეგებს ი. ოვჩინიკოვსა და ვ. კოვალიოვს ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ ახალგაზრდები ი. ბობრინი, ი. ლისოვსკი და ქ. კოკორა.

სამწუხაროდ, ქალთა ასპარეზობაში კვლავ გვიხდება ჩამორჩენაზე ლაპარაკი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მხოლოდ ერთი სპორტსმენის გაწოყვანის უფლება გვაქვს. თუმცა, სპეციალისტების აზრით, წლეულს მოსალოდნელია რამდენადმე წინსვლა ფიგურული ციგურაობის ამ სახეობაში.

• • •

სურათზე: ი. ვორობიოვა და ა. ვლასოვი საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

• •

თბილისელ სპორტის მოყვარულებს მოვაგონებთ, რომ ამ წარმტაცი შეჯიბრების ნახვა შეუძლიათ ცისფერ ეკრანებზე. ცენტრალური ტელევიზია პირველი პროგრამით გადასცემს ასპარეზობას შემდეგ დღეებში: 8 დეკემბერს — 20 საათსა და 45 წუთიდან, 9-ში — 23 საათსა და 25 წუთიდან, 10-ში — 20 საათიდან, 11-ში — 22 საათსა და 30 წუთიდან, ხოლო 13-ში მონაწილეთა საჩვენებელი გამოსვლები დაიწყება 20 საათიდან (დრო ყველგან თბილისისაა).

# წარმატება პრაქტიკულ თამაშშიც

თბილისში დამთავრდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა საოლქო სახლის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოჭადრაკეთა ტურნირი. ბრძოლაში მონაწილეობდა 12 უძლიერესი არმიელი მოჭადრაკე, მათ შორის — ოსტატი ა. ბოკუჩავა, ოსტატობის კანდიდატები გ. მაჭარაშვილი, ლ. ნეურონოვი, ი. ლაპიდუსი, ა. კრიუკოვი და სხვები.

უშელავათო ბრძოლა მოიგო ბოკუჩავამ — 8 ქულა. II ადგილზეა კრიუკოვი — 7,5. III-V ადგილები გაიყვეს ნეურონოვმა, ლაპიდუსმა და პირველთანრიგოსანმა, ცნობილმა ეტიუდისტმა ვ. კალანდაძემ — 7-7.

აღსანიშნავია კალანდაძის წარმატება. მან ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. ეს მეორე შემთხვევაა, როცა ქართველი ეტიუდისტი პრაქტიკულ თამაშში ესოდენ მაღალ სპორტულ თანრიგს აღწევს (პირველად ეს წარმატება დ. გურგენიძემ მოიპოვა).

ვიმედოვნებთ, რომ ტურნირი კარგი წვრთნა იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭადრაკეთათვის, რომლებიც გაისად თბილისში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა გუნდური პირველობის ზონალურ შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას.

**ა. ჩაიკოვსკაია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი.

• •

## ეტიუდი

**ვ. კალანდაძე**
(თბილისი)

ეძღვნება ვ. გოგლიძის III მემორიალის მონაწილეებს.



თეთრები იგებენ

# გაიმარჯვა უძლიერესმა

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დამთავრდა სასახლის პირველი თასის გათამაშება რუსულ შაშში, შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ჩატარდა, 34 მოშაშე მონაწილეობდა. ფინალში გავიდნენ ოსტატობის კანდიდატები ა. ბერუაშვილი და ა. შამოტი. თასისთვის დამატებითი მატჩი ბერუაშვილმა მოიგო — 2,5:1,5. III ადგილი ხვდა ოსტატობის კანდიდატ ნ. მამაკოვს.

საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის ჩემპიონი რუსულ შაშში ქალთა შორის, 12 წლის მაია მოსიძე. მართალია, მას ნახევარი ქულა დააკლდა ფინალში გასვლისთვის, მაგრამ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის მეორე ბალი შეასრულა, რაც ნორჩი მოშაშისთვის უდავო წარმატებაა.

**გ. ფამილიანტი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შაში

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

## თბილისი სპორტულ ბაზებზე

**ჭადრაკი.** ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). **9 დეკემბერს** მოეწყობა საერთაშორისო ოსტატ რ. კინის (ინგლისი) ლექცია „საჭადრაკო ციებ-ცხელება ინგლისში“ და ერთდროული თამაშის სეანსი. დასაწყისი 19 ს. იმავე დღეს შედგება საერთაშორისო ოსტატ გ. სიგურიონსონის (ისლანდია) ლექცია „სპასკი — ფიშერის მატჩი დამსწრის თვალით“ და ერთდროული თამაშის სეანსი. დასაწყისი 19 ს. 30 წთ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02882